

ქვეყნის წარმატებას თუ წარუმატებლობას განათლების ხარისხი განაპირობებს. ემსახურებოდე განათლებას და მის დამკვიდრებას ცხოვრებაში, ნიშნავს აშენებდე ყველაზე მყარ და საიმედო მომავალს. ამ დიდ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს კერძო დაწყებით სკოლა “ალბიონს”. სკოლა დაფუძნდა საქ. განათლების სამინისტროს მიერ 2001წ. 13 აპრილს (სარეგისტრაციო # 00031829). სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, დაწყებით ეტაპისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა. ყველა კლასი აღჭურველია სათანადო ინვენტარით, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შესაბამისი სასწავლო, მხატვრული და აუდიო ლიტერატურით, კომპიუტერები, სკოლაში ფუნქციონირებს სასადილო. “ალბიონი” დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. სკოლაში მოღვაწეობს ერთი ასოცირებული პროფესორი, მირანდა მუმლაძე. პედაგოგების უმრავლესობას აქვს მაგისტრის წოდება და ჩართულია სქემაში. სკოლა მონაწილეობას ღებულობს არა ერთ კონკურსში. “ევერესტის” მიერ გამოცხადებული მათემატიკის კონკურსში სკოლამ ორჯერ მიიღო სამადლობელი სიგელი მიღწეული წარმატებებისათვის. ყოველ წელიდადს სკოლაში ტარდება შიდა სასკოლო ოლიმპიადა მათემატიკაში, ქართულში, ინგლისურში, ტარდება ნორჩკალიგრაფისტა კონკურსი, გამარჯვებული ბავშვები ჯილდოვდებიან შესაბამისი დიპლომებით. სკოლა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს კლასგარეშე მუშაობას. ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება კოლექტიური დასწრება სპექტაკლებზე და ახალ ფილმებზე.